დანართი 1.

პროექტის შესახებ ინფორმაცია

კონკურსი ხორციელდება პროგრამის ფარგლებში - ,,კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში", რომელიც მიზანად ისახავს საქართველოს მოსახლეობაზე, საარსებო გარემოსა და ინფრასტრურაზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი საფრთხეების ზემოქმედების შემცირებას, ეროვნულ დონეზე მოქმედი, მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული შეტყობინების სისტემის (MHEWS) უზრუნველყოფითა და ადგილობრივ დონეზე რისკის შესახებ ინფორმირებული მოქმედების გზით.

შვიდწლიანი ინიციატივა ხორციელდება კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), შვედეთისა და საქართველოს მთავრობების დაფინანსებით.

პროგრამა ხორციელდება:

11 მდინარის აუზში (ენგური, ჭოროხი-აჭარისწყალი, სუფსა, ნატანები, ხობის, კინტრიშის, მტკვრის, არაგვის, ხრამი-ქციას, ალაზნისა და იორის აუზებში ხორციელდება) და მოიცავს 7 ბუნებრივ საფრთხეს: წყალდიდობა, გვალვა, ღვარცოფი, მეწყერი, სეტყვა, ძლიერი ქარი და ზვავი.

პროგრამის შესრულების შედეგად გაიზრდება საქართველოს მოსახლეობის მედეგობა კლიმატური საფრთხეების მიმართ, შემცირდება კატასტროფების ზეგავლენა ინფრასტრუქტურასა და საარსებო გარემოზე, ხოლო 1.7 მილიონი ადამიანი უკეთ იქნება დაცული წყალდიდობისგან, წყალმოვარდნისგან, გვალვისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სხვა საფრთხისაგან.

პროგრამის 3ძირითადი კომპონენტია:

- კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ბუნებრივ საფრთხეებზე დაკვირვების ქსელის გაფართოება და მოდელირების შესაძლებლობების გაძლიერება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სანდო ინფორმაცია კლიმატთან დაკავშირებული საფრთხეების, მოწყვლადობის და რისკის შესახებ;

- ეფექტიანი ეროვნული რეგულაციებით, კოორდინირების მექანიზმებითა და ინსტიტუციონალური შესაძლებლობებით მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული

შეტყობინების სისტემის მხარდაჭერა და კლიმატთან დაკავშირებული ახალი საინფორმაციო პროდუქტების შექმნა;

- მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული შეტყობინების სისტემის და რისკის შემცირების პრიორიტეტული ღონისძიებების განხორციელების გზით მოსახლეობის მედეგობის გაზრდა სათემო დონეზე.

- პროგრამის განათლების და ცნობიერების ამაღლების კომპონენტს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნრობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ახორციელებს. ამ კომპონენტის ფარგლებში ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს სამიზნე მუნიციპალიტეტში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციებთან და თვითმართველობასთან.